ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4010892

ნომერი: AR1590225

თარიღი : 02.04.2018

გაცემის თარიღი : 14.06.2018

გაცნობის თარიღი : 14.06.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ვაზისუბანი , მიკრო/რაიონი III , კორპუსი N16-ის მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ნიკო მუსხელიშვილი , N 12;

დამკვეთი-განმცხადებელი

- შავლეგო ბერუაშვილი პ/ნ 01019046458
- თბილისი ახტალის გას. N 3

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 14 მარტის №3861731 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 2 აპრილს AR1590225 განცხადებით მომართა მოქალაქე შავლეგო ბერუაშვილმა და მოითხოვა 2018 წლის 14 მარტის №3861731 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის

სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2018 წლის 14 მარტის№3861731 ბრძანებით #01.17.10.001.141 საკადატრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე (ფართობი: 1518კვ.მ) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. მიწის ნაკვეთს საზოგადოებრივი საზღვარი განესაზღვრა ჩრდილო-აღმოსავლეთით არსებული გზის მხრიდან და უკანა ეზო დაუდგინდა სამხრეთ-დასავლეთით.
ამჟამად განმცხადებელი ითხოვს სამხრეთ-დასავლეთით არსებული დაურეგიტრირებელი ტერიტორია ჩაეთვალოს საზოგადოებრივ სივრცედ, შესაბამისად მოეხსნას ამ მხარეს დადგენილი უკანა ეზო.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 14 მარტის №3861731 ბრძანებით დამკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ:
2. საზოგადოებრივი საზღვრები განისაზღვროს ნაკვეთის ჩრდილო–აღმოსავლეთით არსებული გზის მხრიდან და სამხრეთ-დასავლეთით არსებული დაურეგიტრირებელი არეალიდან;
3. მაქსიმალურად დასაშვები სიმაღლე განისაზღვროს საზოგადოებრივი საზღვრებიდან.
4. ამოღებულ იქნას ჩანაწერი უკან ეზოს შესახებ. (იხ. განახლებული დანართი).
5. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 14 მარტის №3861731 ბრძანებით დამკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი ჟ. შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.